ხაშურის მოამბე

№9 (260) 16 მარტი, ორშაბათი, 2020 წელი

მთავრობა მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა

- პირველ რიგში, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ახლა არ არის პანიკის დრო. ახლა ერთიანობის და ეფექტური მოქმედების დროა,- ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, მთავრობის ყველა ორგანო 24 საათის განმავლობაში მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის.

„მოგეხსენებათ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გუშინ კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა. საქართველოში საკოორდინაციო საბჭო ბოლო კვირების განმავლობაში აქტიურად მუშაობს და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კორონავირუსის პანდემიასთან მზაობის პერიოდის შესაბამის რეკომენდაციებს მიჰყვება. მსოფლიოში არსებული სამწუხარო სტატისტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ შედარებით ჩვენ ვახერხებთ ამ გამოწვევებს გავუმკლავდეთ, თუმცა არცერთ შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს მოდუნების ან თვითკმაყოფილების საფუძველი. ეს გამოწვევები, როგორც ჩანს ყოველდღიურად გაიზრდება და ჩვენ ვალდებულები ვართ, შესაბამისად, ვიყოთ მზად საპასუხოდ. პირველ რიგში, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს მოხუცებზე, ბავშვებზე და, რა თქმა უნდა, ერთმანეთზე.

მთავრობის ყველა ორგანო 24 საათის განმავლობაში მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. ეს განსაკუთრებით ეხება ჯანდაცვის, შინაგან საქმეთა, განათლების, იუსტიციის, საგარეო საქმეთა სამინისტროებს და რა თქმა უნდა, ფინანსთა სამინისტროს შესაბამის უწყებებს, რომლებიც საზღვრებზე ფუნქციონირებენ“, - აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ დღეს საქართველოში 25 ინფიცირებულია და ჯანდაცვის სამინისტრო შესაბამის პროტოკოლურ პროცედურებს ახორციელებს ამ ადამინების განკურნებისთვის, ასევე დადგენილია საქართველოს ყველა მოქალაქე, ვისაც კავშირი ჰქონდა ამ ადამიანებთან.

„პირველ რიგში, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ახლა არ არის პანიკის დრო. ახლა ერთიანობის და ეფექტური მოქმედების დროა. ამიტომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, პირველ აპრილამდე გადაიდო სასკოლო დაწესებულებებში სწავლა, ასევე 13 აპრილამდე გადავადდა საგაზაფხულო გაწვევა საქართველოს ჯარში“, - აღნიშნა გახარიამ.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეფექტიანად უპასუხოს იმ გამოწვევებს, რაც კორონავირუსის გავრცელებით შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკას მიადგეს.

„პირველ რიგში, ჩვენი გამოწვევა და ვალდებულებაა, ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ჯანმრთელობაზე, თუმცა ამასთან ერთად, ყველას კარგად გვესმის, რომ ასევე პრიორიტეტია ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებაზე და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეფექტიანად ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომელიც ამ ვირუსის გავრცელებით შეიძლება მიადგეს ჩვენს ეკონომიკას. სწორედ ამიტომ, ეკონომიკურ გუნდს ევალება, უახლოეს პერიოდში, დღეს, დღის ბოლომდე, შემუშავებული გეგმის სახით წარმოგვიდგინონ ეკონომიკური სტიმულირების კონკრეტული გეგმა, რომელიც ხვალიდან განხორციელდება. ეს ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ყველას კარგად გვესმის, რომ ჯანმრთელობის გარდა, ჩვენ გვაქვს ვალდებულება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების და მათი სოციალური უზრუნველყოფის წინაშე, ისევე, როგორც ქვეყნის შემდგომი განვითარების წინაშე. გვესმის, რომ ეს გლობალური გამოწვევაა, მაგრამ დროებითი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ამ გლობალური გამოწვევის წინაშე საქართველოს პასუხი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური იყოს“, - განაცხადა გახარიამ.

გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე დაავალა შს სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად კოორდინაციაში უზრუნველყოს წესების დაცვა იმ მოქალაქეების მიერ, რომლებიც ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით თვითიზოლაციაში არიან.

„ყველაზე მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი ყველაზე მთავარი გამოწვევა, რომელსაც საკოორდინაციო საბჭო წააწყდა, ეს გახლავთ თვითიზოლაციის რეჟიმის დაცვა. ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ ადამიანები, რომლებიც

პოტენციურად შეიძლება ვირუსის მატარებლები იყვნენ, მათ გარკვეული ვალდებულება აქვთ ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე და თვითიზოლაციის რეჟიმის შესაბამისი დაცვა არის ჩვენი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი. ამიტომ, მოვუწოდებთ მოქალაქეებს, რომლებიც თვითიზოლაციის რეჟიმში იმყოფებიან, კარად დაიცვან ეს პირობები. ასევე, ვავალებ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროსთან სრულ კოორდინაციაში უზრუნველყონ წესების ზუსტი და შესაბამისი აღსრულება იმ მოქალაქეების თვითიზოლაციის, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს მიერ არის განსაზღვრული“, - განაცხადა გიორგი გახარიამ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ამ დღეებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი უძღვებოდა.

სხდომაზე განსახილველად 8 საკითხი იყო წარმოდგენილი, რომელთაც საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხდომაზე მოისმინეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ დირექტორის ნუგზარ ცხოვრებაძის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. (იხილეთ მე-3 გვერდზე).

სხდომას ესწრებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, რომელმაც ისაუბრა 2020 წლის მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის № 78 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელების გეგმის მოცულობა განისაზღვრა 13 606.1 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით ირიცხებოდა 1 838,1 ათასი ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე, განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელების გეგმის მოცულობა განისაზღვრა 24 602.5 ათასი ლარით, რაც 10 996.4 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2019 წლის ბიუჯეტით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს შემოსავლები (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები), მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 23 657.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 104.26%-ს შეადგენს, შემოსულობების გეგმის შესრულება ცალკეული სახეობების მიხედვით კი შემდეგნაირად გადანაწილდა: გადასახადების გეგმა შესრულდა - 111.42%-ით (13217.8 ათასი ლარი), მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 108.12 %-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 1124.0%-ით, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 96.3 %-ით, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 122.2 %-ით. სხვა გადასახადების (დღგ) გეგმა შესრულდა - 104,96 %-ით (10352,3 ათასი ლარი), სხვა შემოსავლები 94,63%-ით მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 107,80 %-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 113,2 %-ით, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 0 %-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 85,75 %-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 98,24 %-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან – 167,1 %-ით, შემოსავალი შენობა-ნაგებობების იჯარიდან – 87 %-ით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 100,0%-ით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 158,17%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზაციიდან) მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა – 58,3 %-ით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 35.91%-ს (8496,6 ათასი ლარი). 2019 წლიდან გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლად განისაზღვრა, განაწილებული დამატებული ღირებულების გადასახადი (დამატებული ღირებულების გდასახადის 19%), რომლის განაწილება მოხდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში" ცვლილებების შეტანის შესახებ 71-ე და 1145 -ე მუხლების შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადის თანხამ გეგმით შეადგინა 946 580,0 ათასი ლარი, აქედან ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 2 ბიუჯეტში მიიმართა 1,04%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში შეადგინა 9 863,5 ათასი ლარი, ხოლო ქონების გადასახადი განისაზღვრა 2 000,0 ათასი ლარით, სულ გადასახადებიდან მისაღები მაჩვენებლებმა შეადგინა 11 863,5 ათასი ლარი, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილმა თანხამ შეადგენა - 225,0 ათასი ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელების საკასო შესრულებამ 23 297,20 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 94. 70 %-ს შეადგენს.

ბიუჯეტის გადასახდელების გეგმის საკასო შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში, შემდეგნაირად გადანაწილდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება - 99,75 %-ით, საქონელი და მომსახურება - 91,9 %-ით, სუბსიდია - 99,0 %-ით, გრანტები - 99,52 %-ით, სოციალური უზრუნველყოფა - 98,35 %-ით, სხვა ხარჯები - 82,0 %-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 90,35 %-ით და ვალდებულებების კლება - 100,0 %-ით.

ბიუჯეტის აქტივების გეგმის საკასო შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 96,2% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 11,07 %), თავდაცვა - 96.31 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,8%), ეკონომიკური საქმიანობა - 94.70 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 36.73 %), გარემოს დაცვა - 96.98 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 5.19 %), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 92.29 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 12.31 %), ჯანმრთელობის დაცვა - 93.44 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 1.31 %), დასვენაბა, კულტურა და რელიგია - 94.16 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 15.78 %), განათლება - 94,9 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 12.54 %), სოციალური დაცვა - 96,36 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 4.54 %).

მუნიციპალიტეტის ძირითად სახაზინო ანგარიშზე, საანგარიშო პერიოდის ბოლოს (2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით), ნაშთის სახით, ირიცხებოდა 2 239,7 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთი მიიმართება 2020 წლის პროექტების განსახორციელებლად, მათი გამოყენება მიზნობრიობის დაცვით გათვალისწინებულია 2020 წლის ბიუჯეტით.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 5 131, 4 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების წილი თანხა შეადგენს 276, 6 ათასი ლარს. კერძოდ, აღნიშნული განკარგულებით განხორციელდა ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის, მაგისტრალის, რეზერვუარისა და დასახლებების ჯგუფური მიწოდების სისტემის მოწყობა (პირველი ეტაპი), დაბა სურამში, ჩუმათელეთის დასახლებაში, თამარ მეფის პირველი და მესამე ჩიხების მოასფალტება, სოფელ ვაყაში - გზის მოასფალტება, სოფელ ხცისიდან სოფელ კრისხევამდე - გზის მოასფალტება, ხაშურში ბორჯომის ქუჩაზე ავტომაგისტრალის გასწვრივ, ღობეების მოწყობა და სოფელ მცხეთიჯვრიდან სოფელ წაღვლამდე გზის მოასფალტების სამუშაოები (პირველი ეტაპი). 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულების საფუძველზე, გადარიცხული თანხების საკასო შესრულებამ შეადგინა სულ 5 030, 1 ათასი ლარი.

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 794, 1 ათასი ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების წილი თანხა შეადგენს 104, 6 ათას ლარს. ქალაქ ხაშურში მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი კედლების გამაგრება რეაბილიტაციის სამუშაოების და დაბა სურამში მდინარე სურამულაზე მარცხენა სანაპიროს გამაგრების სამუშაოების განსახორციელებლად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქალაქ ხაშურში მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი კედლების გამაგრება რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულებულია და საკასო შესრულებამ შეადგინა 763, 3 ათასი ლარი.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 910,0 ათასი ლარი, ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 22 სკოლას და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკასო შესრულება შეადგენს 769, 1 ათას ლარს, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად 180, 9 ათასი ლარი, სადაც გაწეულია 115, 5 ათასი ლარის მომსახურეობა.

„ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულების საფუძველზე, გამოიყო 182,0 ათასი ლარი, რის საფუძველზეც განხორციელდა სოფლების კრისხევის, წრომის, ალის, ფლევის, ნაბახტევის და ცხრამუხის ამბულატორიების რეაბილიტაცია, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული პროექტების საკასო შესრულებამ შეადგინა 165, 2 ათასი ლარი.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 844, 0 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკასო შესრულებამ შეადგინა სულ 769, 4 ათასი ლარი.ხოლო მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების წილი თანხა შეადგენს 242.1 ათას ლარს სულ 1 011, 5 ათას ლარს.

„ხაშურის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე მთავრობის განკარგულების პროექტებიდან - ნაშთად არსებული გასული წლის თანხების გაერთიანების საფუძველზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №96 განკარგულების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 495, 6 ათასი ლარი, ინფრასტუქტურული პროექტების განსახორციელებლად, კერძოდ აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული იყო ხაშურში, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე, მინისტადიონის და სკვერის მოწყობა, სოფელ ახალსოფელში მინისტადიონის მოწყობა, ხაშურში, ვეფხვაძეების უბანში, მინისტადიონის მოწყობა, ტაბიძის ქუჩაზე არსებული მინისტადიონის რეაბილიტაცია, სოფელ ტეზერში ამბულატორიის მოწყობა, სოფელ გომში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკასო შესრულებამ შეადგინა სულ 424, 3 ათასი ლარი.

2019 წლის ბიუჯეტით დაფინანსდა აგრეთვე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელთა\ სუბსიდირების საკასო შესრულებამ 5608,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (5 663,0 ათასი ლარი) 99,0 %-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №78 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე. 2019 წელს სოფელ ჩორჩანაში გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის სავალი ნაწილის სარეაბილიტაციო აღდგენითი სამუშაოებში მონაწილე პერსონალის კვებითი მომსახურეობის უზრუნველყოფისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 15 თებერვლის №537 ბრძანების საფუძველზე, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 1,0 ათასი ლარი , ხოლო 2019 წლის 11 აპრილის №870 ბრძანების საფუძველზე, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის გამოიყო 4,0 ათასი ლარი. 2019 წლის 7 აგვისტოს №1537 ბრძანების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში აღმაშენებლის მე - 2 ჩიხი №7 - ში მცხოვრები მარიამ ლაბაძის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების მიზნით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 3,0 ათასი ლარი.

ამრიგად, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსებმა მუნიციპალიტეტს, მისცა ბიუჯეტის გადასახდელების გეგმით გათვალისწინებული პროგრამის, ღონისძიებების და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების საშუალება და შესაბამისად ამ პროგრამების ძირითადი მიზნების განხორციელების შესაძლებლობა.

ლელა მაჭარაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:

ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ ანგარიში 2019 წლის საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის №133 განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის და წყლის სისტემის ზედამხედველობი პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 1 445 200 ლარი. საიდანაც ხელფასის ფონდი განისაზღვრა 777 575 ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურების ფონდი - 667 625 ლარით. აღნიშნული პროგრამის შესრულება დაევალა ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისს“, ხოლო პროგრამის შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურს. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 13 მაისის № 1072 ბრძანებით მოხდა ა(ა)ი.პ „სავანეს“ შერწყმა ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისზე“. აღნიშნული ა(ა)ი.პ -ის შერწყმის შემდგომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 1 807 200 ლარი, საიდანაც დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებისათვის განისაზღვრა -871 000 ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების გარე განათების ღონისძიებებისათვის - 274 200 ლარი, მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობისათვის 275 000ლარი, წყლის სისტემის ზედამხედველობისათვის - 20 000 ლარი, მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობაზე - 63 000 ლარი, მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და მწვანე ნარგაობების მოვლა-შენახვის ღონისძიებებზე – 250 000 ლარი, მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებებზე – 54 000 ლარი. 2019 წელს პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული იქნა 1 762 967 ლარი ნაცვლად დაგეგმილი 1 807 200 ლარისა. (-44232,25 ლარით ნაკლები). საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 94 282 ლარი, რომელიც მთლიანად მიმართული იქნა საბრუნავი საშუალებების შესავსებად და დამტკიცებული პროგრამის შესასრულებლად. პროგრამით გათვალისწინებული დავალების შესასრულებლად, კონსოლიდირებული ტენდერით მომწოდებლებთან გაფორმებული იქნა 19 ხელშეკრულება თანხით 326 047,76 ლარი. ჩატარდა 15 ელექტრო ტენდერი თანხით 359 270,09 ლარი. მომწოდებლებთა გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 124 ხელშეკრულება თანხით 98 567,77 ლარი. 2019 წელს ა(ა)ი.პ ხაშურსერვისის თანამშრომლებზე ხელფასის სახით გაცემული იქნა 981 276,56 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 875 704,91 ლარი, საიდანაც საკუთარი შემოსავლების თანხა შეადგენს - 80 690,77 ლარს. შეძენილი იქნა 129 224 ლიტრი დიზელის საწავი თანხით 398 516,52 ლარის, 12070 ლიტრი ბენზინი თანხით 25 867,24 ლარი. 104 036 კუბუმეტრი ბუნებრივი გაზი თანხით 125 237,48 ლარი. ა(ა)ი.პ ხაშურსერვისში შტატით ირიცხება 203 თანამშრომელი. ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისმა“ 2019 წელს განსაზღრული პროგრამა წარმატებით განახორციელა, გარდა პროგრამით განსაზღრული სამუშაოების, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ვმონაწილეობდით ფორსმაჟორიტარული სიტუაციის დროს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში. (კომფლიქტურ ზონებში გზების მშენებლობაში). თანამშრომელთა წახალისების მიზნით საკუთარი შემოსავლებიდან - აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე თანამშრომლებზე გაიცა 4621 ლარის პროდუქტი, ხოლო საახალწლო დღესასწაულზე-7498,91 ლარის პროდუქტი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 871 000 ლარი, საიდანც ხელფასის ფონდი შეადგენს 530 000 ლარს, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 341 000 ლარით. დასუფთავების პროგრამის შესრულებაზე დასაქმებულია 131 თანამშრომელი. ერთი მენეჯერი, 4 სპეციალისტი, 5 მუშა-ბრიგადირი, 40 მეეზოვე, 39 მუშა, 22 დასუფთავების ქვითრების დამრიგებელი, 6 დამლაგებელი, 14 მძღოლი. დასუფთავების პროგრამის შესასრულებლად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 663 ცალი კონტეინერი , გამოიყენება ექვსი ერთეული ნაგავშემკრები სპეცტექნიკა და ხუთი სატვირთო ავტომანქანა. ყოველდღიურად ქ.ხაშურში იგვება 48100 მ 2 , ხოლო დაბა სურამში 15500 მ 2 ფართი. თვეში ერთხელ ვახორციელებთ ქ.ხაშურში და დაბა სურამში საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდას 638000 მ 2- ზე. 2019 წელს, ხაშურის ნაგავსაყრელზე გატანილი იქნა 81 996 მ 3 საყოფაცხოვრებო ნარჩენი. დასუფთავების მუშებს, ჩვენს მიერ გაწეული ეკონომიის ხარჯზე, თვიური ხელფასი გავუზარდეთ 25 ლარით და ნაცვლად 350 ლარისა ყოველთვიურად ერიცხებათ 375 ლარი. 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული იქნა სუფსიდია 872253,78 ლარის ოდენობით, საიდანაც დასუფთავებაზე, ხელფასის სახით გაიხარჯა 516630 ლარი, უნიფორმებზე- 7078 ლარი, ტრანსპორტის ტექნიკურ მომსახურებაზე და ექსპლუატაციაზე გაიხარჯა 376 479,04 ლარი. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სუფდიისა, დასუფთავების სამუშაოებისათვის გამოყენებული იქნა საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული თანხები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების სისტემის მოვლა- შენახვისა და რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 274 200 ლარი. საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 86 200 ლარს, საქონელი და მომსახურების მუხლში გათვალისწინებულია 188 000 ლარი. გარე განათების მოვლა-შენახვის პროგრამის შესრულებაზე დასაქმებულია 10 თანამშრომელი: ერთი მენეჯერი, ერთი ინჟინერ-ელექტრიკოსი, ერთი ბრიგადირ-ელექტრიკოსი, ხუთი ელექრტიკოსი და ორი მძღოლი. ასევე ემსახურება ორი სპეცავტომანქანა(ამწეკალათი). 2019 წელს გარე განათებისათვის საჭირო ელექტრო საქონელის შესაძენად ჩატარდა 6 ელექტრო ტენდერი - 142370 ლარი და 4 გამარტივებული ხელშეკრულება თანხით 4075 ლარის. შეძენილი იქნა 8660 ცალი ნათურა და 4500 მეტრი ელექტრო სადენი. მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე 12 000 ცალი გარე განათების ლამპიონია (სანათია). 2019 წელს გარე განათების სამუშაოებზე ხელფასის სახით გაიხარჯა 86 629,43 ლარი. ტრანსპორტის ტექმომსახურეობაზე და ექსპლუატაციაზე გაიხარჯა 41592,12 ლარი. საკუთარი შემოსავლებიდან ელექტრო საქონელის შესაძენად გახარჯული იქნა- 55 358,29 ლარი. 2019 წლის ელტენდერით მიღებული ჩინური წარმოების 25 ვტ-იანი დიოდური ნათურები ვერ აკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნებს, ვადაზე ადრე გამოდის ექსპლუატაციიდან (იწვის), რაც სამართლიანად იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას. აღნიშნული პრობლემა გამოსწორებული იქნა ჩვენს მიერ, მიმდინარე წლიდან ელექტრონული ტენდერით მიღებული იქნა მაღალი ხარისხის დიოდური სანათები, რომლებიც პირველ ეტაბზე დამონტაჟდება ქ. ხაშურში და დაბა სურამში, რითაც აღმოფხვრილი იქნება გარე განათებაში არსებული პრობლემები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობაზე 2019 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 275 000 ლარი. შიდა გზების მოვლა -პატრონობაზე დასაქმებულია ექვსი თანამშრომელი: ერთი მენეჯერი, ერთი გზის ინჟინერი, ოთხი მექანიზატორი, სამი ერთეული საგზაო ტექნიკა: გზის გრეიდერი, ექსკავატორ - დამტვირთი და მუხლუხიანი ტრაქტორი. 2019 წელს ,ხელფასის სახით გაიხარჯა-115 927,4 ლარი, ტექნიკის ექსპლოატაციაზე და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა 147 847,3 ლარი. საქონელი და მომსახურებაზე გაიხარჯა 20 738,32 ლარი . ელექტრონული ტენდერის საშუალებით შეძენილი იქნა ქვიშა-ხრეში - 300 მ 3 და 1500 მ 3 ღორღი, რომელიც მთლიანად გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთებაზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წყლის სათავე-ნაგებობების ზედამხედველებზე 2019 წელს გამოყოფილი იქნნა 20000 ლარი, ხელფასის სახით გაიხარჯა 19971,5 ლარი, 28,5 ლარით ნაკლები

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების და მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისათვის, 2019 წელს მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი იქნა 197 900 ლარი. საიდანაც ხელფასის სახით გაიხარჯა 149 386,57 ლარი, ტრანსპორტის ექსპლუატაციაზე და მოვლა-შენახვაზე გაიხარჯა 8 955,35 ლარი. შეძენილი იქნა 10 058 ლარის 22 518 ძირი ყვავილის ნერგი, რომლებიც დარგული იქნა ქ. ხაშურის სკვერებში. 2019 წელს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოჭრილი იქნა დაზიანებული ხეები,რომლებიც დახერხილი იქნა და მიღებული 405 კბმ შეშა გაცემული იქნა 135 ოჯახზე. (სულ შეშაზე მიღებული იყო 249 განცხადება.)

მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების პროგრამის შესასრულებლად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2019 წელს დაამტკიცა 63 000 ლარი. ფაქტობრივად გაიხარჯა 62 852,97 ლარი. აღნიშნული პროგრამის შესასრულებლად დასაქმებულია 8 თანამშრომელი. ორი სპეციალისტი, ერთი ფერშალ-ლაბორანტი, ორი ცხოველების დამჭერი კინოლოგი, ერთი ვეტექიმი, ერთი ცხოველების მომვლელი, ერთი მძღოლი. 2019 წელს, ცხოველების თავშესაფარში შემოსული იყო 419 ძაღლი და 4 კატა. 110 ძაღლს და 4 კატას ჩაუტარდა მკურნალობა. 39 ძაღლს გაუკეთდა ოპერაცია, 70 ძაღლი დაიღუპა. სულ შემოსული იყო 293 გამოძახება, შესრულებული იქნა 262 გამოძახება.

მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებებზე, 2019 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოყო 48 000 ლარი . საიდანაც ხელფასის სახით გაიხარჯა 40 547,05 ლარი. 7452,9 ლარი გაიხარჯა საქონლისა და მომსახურების მუხლში, საიდანაც 2000 ლარად შეძენილი იქნა რკინის დახურული ჯიხური, რომელიც განთავსებული იქნა ზემო სერის სასაფლაოზე და გამოიყენება მესაფლავეების ინვენტარის შესანახად. ასევე შეძენილის იქნა საამშენებლო ბლოკი ზემო სერის სასაფლაოს შესასვლელი კარების მოსაწყობად. 2019 წელს ორგანიზავიის სამი მესაფლავის მიერ სასაფლაოების მომსახურეობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 27 348 ლარს.

ნ. ცხოვრებაძე,
ა(ა)იპ ხაშურსერვისის დირექტორი

სოფლებს – მცხეთიჯვარს და წაღვლს – მოასფალტებული გზა დაუკავშირებს

ხაშურის მუნიციპალიტეტში გრძელდება სოფელ მცხეთიჯვრიდან წაღვლამდე გზის მშენებლობის სამუშაოები.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოწყობა.

აღნიშნული სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა და მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა სერგო ლალიაშვილმა.

მათი განმარტებით, პროექტი გეგმაზომიერად მიმდინარეობს, უკვე დაიგო ასფალტის ორი ფენა, ახლა კი თანმდევი სამუშაოები ხორციელდება. პროექტი ორწლიანია, თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 2 947 999 ლარს შეადგენს.

სოფელ მცხეთიჯვრიდან წაღვლამდე გზის მოასფალტების პროექტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლების მცხოვრებლებს საყოფაცხოვრებო პირობები გაუუმჯობესდებათ.

სურამში მშვიდობისა და ფიროსმანის ქუჩების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში გზების მშენებლობის სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს, ამჯერად, ფიროსმანისა და მშვიდობის ქუჩების რეაბილიტაციაც ხორციელდება.

ადგილზე იმყოფებოდნენ და მიმდინარე სამუშაოებს ათვალიერებდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი.

მათი განმარტებით, ფიროსმანის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 342 428 ლარს შეადგენს და მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, მშვიდობის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 1296 939 ლარს შეადგენს და ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება.

აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტები,მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს და ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.

თაფლის წარმოებისა და ფუტკრის ოჯახების მოვლის ტექნოლოგიური რუკა

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს მეფუტკრე-სპეციალისტს **გია ჯელაძეს**, რომლის რჩევა-დარიგებები ხშირად ქვეყნდება ჩვენს გაზეთში. ამჯერად გთავაზობთ მის მიერ შედგენილ ფუტკრის ოჯახების მოვლის ტექნოლოგიურ რუკას, რომელიც, ვფიქრობთ, დიდ დახმარებას გაუწევს დამწყებ მეფუტკრეებს.

თაფლის წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაოების კალენდარი შედგენილია აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატური პირობებისათვის (ზღვის დონიდან 800მ. და ზემოთ).

დაბლობსა და მაღლობში ფუტკრის ოჯახების განვითარებისა და ღალიანობის ვადებზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენს გავლენას, მათ შორის აღსანიშნავია კლიმატურ პირობები, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ადგილის მდებარეობაზე (ზღვის დონიდან სიმაღლე და ა.შ). ცნობილია, რომ დაბლობსა და მთას შორის ფუტკრის ოჯახების განვითარებაში დაახლოებით 2-3 კვირიანი სხვაობა შეინიშნება. თუმცა მეფუტკრის მიერ ჩასატარებელი სამუშაოების კალენდარული ვადები მაინც პირობითია და მეფუტკრისგან ფუტკრის ოჯახებსა და ბუნებაზე მუდმივ დაკვირვებასა და ანალიზს მოითხოვს. წარმოდგენილი გეგმა მეფუტკრისთვის ვერ იქნება ზუსტი გზამკვლევი, თუმცა ის ამომწურავად აღწერს საფუტკრეში ჩასატარებელი სამუშაოებისა და ფუტკრის ოჯახის ბიოლოგიური თავისებურებების საკვანძო მნიშვნელობის საკითხებს.

თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1. დათვალიერება–ხილვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2. მღრნელებთან ბრძოლა	X	X									X	X
3. კვება (საჭიროების და მიხედვით)	Xს	Xს	Xს	Xს	Xს			Xს	Xს	Xს	Xს	Xს
4. დაავადებებზე კონტროლი	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
5. ვენტილაცია	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
6. დედების კონტროლი				X	X	X	X	X	X			
7. ტემპერატურის და ტენიანობის კონტროლი	X	X	X							X	X	X
8. ბუდის გაფართოება			X	X	X	X	X					
9. ბუდის შემცირება			Xს					X	X	X	X	
10. თაფლის წურვა					X	X	X	X				
11. მთა-ბარობა					X	X	X	X				
11. მკურნალობა ვაროატოზზე				Xს				X	X		X	
12. გამაღიზიანებელი კვება		X	X	X				X	X			
13. დედების გამოყვანა			X	X	X	X	X	X				
14. ამანათ-ნაყრების შექმნა				X	X	X	X					
15. რძეზე მუშაობა					X	X	X	X				
16. ბუდის შემჭიდროვება-დათბუნება	X	**X**								**X**	**X**	
17. კონტროლი ცვილის ჩრჩილზე							**X**	**X**	**X**			
18. თაფლოვანი მრავალწლიანი ნერგების დარგვა		**X**	**X**	**X**					**X**	**X**	**X**	

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“2019 წ.#41,42,44,45,46,47,„ხმ“, 2020 წ.#2,3,4,5,6,7,8)

ამ გარემოებამ გარკვეული როლი ითამაშა აჯანყების შემდგომ განვითარებასა და ხასიათზე. „ ქართლის საზოგადოების უმრავლესობის თვალში აჯანყებას იდეური საფუძველი ეცლებოდა“. რისთვისაც დაიწყო აჯანყება, უკვე მიღწეული იყო, მაგრამ გივი ამილახორი კვლავ განაგრძობდა წინააღმდეგობას, რაც ახლა მისდაუნებურად, ქართლში „ქართველობის“ წინააღმდეგ იყო მიმართული.

ასეთ ვითარებაში, გივი ამილახორის მომხრეების რიცხვი თანდათან მცირდებოდა. თეიმურაზთან “მოდიოდნენ გაქცეულნი თავადნი ზემო ქართლისანი, აძლევდა ბატონი საბოძვარსა და იმედსა წყალობისა“.

თეიმურაზმა, ქართლში გამეფების შემდეგ, ისევ მოლაპარაკების გზით სცადა გივი ამილახორის შემორიგება. მან ზემო ქართლის ერთ–ერთი წარჩინებული თავადთაგანი – თავისი ქვისლი ვახუშტი აბაშიძე და ლუარსაბ თარხნიშვილი გაგზავნა მასთან მოსალაპარაკებლად. თეიმურაზი „დიდს წყალობას და ხელმწიფისაგან დანაშაულის მიტევებას“ ჰპირდებოდა ამილახორს, მაგრამ ამაოდ.

ამავე წელს ნადირშაჰმა თეიმურაზი და ერეკლე თავისთან დაიბარა. უკან, ქართლში გამომგზავრებულ თეიმურაზს ნადირმა ალი მარდან-ხანი გამოაყოლა ოთხი ათასი კაცით და უბრძანა გივი ამილახორზე გალაშქრება. „რაც თეიმურაზ ხანმა გიბძანოსო, იმ ბრძანების მორჩილი იყავიო“, – ავალებდა ნადირშაჰი ალი მარდან–ხანს.

1744 წლის დეკემბრის დასაწყისში, ნადირ–შაჰის ბრძანებისამებრ, თეიმურაზმა „დიდის ჯარით გაილაშქრა გივი ამილახორზე“. მას თან ახლდა ალი მარდან–ხანი ოთხი ათასიანი ჯარით. 3 დეკემბერს, სურამის ციხესთან იდგა უკვე თეიმურაზი. ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე მოგვითხრობს „...გივმან ამილახვარმან განამაგრა ციხე სურამისა ოსმალთა მიერ, შევიდა და დასდგა მუნ. მაშინ მოვიდა მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი ბრძანებითა ნადირშაჰითა, და ერთი ყიზილბაშის ხანიცა, და მოადგნენ გარს...“. თეიმურაზმა ციხის მახლობლად სანგრები გამართა და შიგ ჯარი განალაგა: „ციხის მოშორებით სანგარი შეკრეს დიდი და ჯარი იმაში დააყენა ბატონმა და სხვა მეომარი გამოისტუმრა ციხის მახლობელ“.

ამ დროს სურამის ციხიდან გამოვიდნენ ამილახორის ხალხი, მაგრამ „ვერარად იბრძოლეს“ და ისევ ციხეში შებრუნდნენ.

თეიმურაზ მეფემ ციხის ალყაში მოქცევის პარალელურად დიდი მუშაობა გაშალა გივი ამილახორის მომხრე თავადების შემოსარიგებლად. მან „გაგზავნა ყველგან კაცი... და დაიბარა თავადნი ზემო ქართლისანი“. მათ რა „წამს შეიტყვეს ბატონის ბძანება, მაშინვე შემოეყარნენ თავადნი ქართლისანი, უბოძა ხალათი ყოველთა და აპატივა დანაშაული ცოომილებისა”. თეიმურაზმა გივის ვაჟის–დიმიტრის გადაბირებაც შეძლო, რომელიც ამ დროს ახალდაბის ციხეში იყო გამაგრებული. თეიმურაზმა მასთან ყაფლან ორბელიანი გააგზავნა, „დაიბარა... თავისთან, სთხოვა ციხე და დაპირდა წყალობასა ფრიადსა”. დიმიტრიმ, რომელსაც ყაფლან ორბელიანის და ჰყავდა ცოლად, მიენდო მას და შეწყვიტა წინააღმდეგობა, მივიდა თეიმურაზთან და „მოართვა ციხე ახალდაბისა”. მეფემ დიმიტრის დიდი წყალობა – ამილახორობა და ორმოცდაათი თუმანი ჯამაგირი უბოძა. ამის შემხედვარე ქართლის განდგომილმა თავადებმა სხვა ციხეებიც ჩააბარეს თეიმურაზს.

თეიურაზმა ადვილად შეძლო, გუშინ ამილახორის მომხრე თავადები, დღეს მის წინააღმდეგ გამოეყენებინა. ამავე დროს იგი ამილახორის შემორიგებას კვლავ მოლაპარაკების გზით ცდილობდა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. „უგზავნიდნენ ამილახორს კაცს და ეპატიჟებოდნენ გამოსვლასა ციხიდამ, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს“.

დაიწყო სურამის ციხის დაუფლებისათვის, ხანგრძლივი - ექვსთვიანი ბრძოლა. გივი ამილახორს სურამის ციხე კარგად ჰქონდა გამაგრებული: „ცოტა რამ ლეკიც ჰყვანდა ციხეში და ციხეც კარგად გაწყობილი ჰქონდა სანოვაგითა მრავლითა და ჯაბახანითა ფრიადითა”. ამიტომ, პაპუნა ორბელიანის თქმით, თეიმურაზს დიდად აფიქრებდა ციხის ადვილად აღების შესაძლებლობა: „ არ ჰქონდათ ციხის აღების იმედი, იყო დღედაღამ სროლა ზარბაზანთა და ყუმბარათა, რომე კომლისაგან ციხე აღარ ჩნდის. ეგრეევე ესროდენ ციხიდამ ზარბაზანთა“.

თეიმურაზს მყარად ჰქონდა გადაწყვეტილი, აეღო ციხე და ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვა აჯანყებულთა წინააღმდეგობისათვის. ამიტომ მან დამატებით ღონისძიებებსაც მიმართა, რაც მიზნად ისახავდა, მოეწყვიტა ციხე მასში გამაგრებული აჯანყებულებითურთ გარესამყაროსაგან. ამ მიზნით მან ხუთასი კაცი განაწესა ღამღამობით გზების მცველად, რომ ციხიდან არავინ გამოპარვოდათ.

გივი ამილახორის ირგვლივ რკალი თანდათან ვიწროვდებოდა, მაგრამ ის მაინც ჯიუტად განაგრძობდა წინააღმდეგობას.

ნადირ–შაჰი კვლავ მზად იყო, ეპატიებინა „ფიცით დანაშაული ცდომილებისა“ გივი ამილახორისათვის. ამ მიზნით თავისი წარმომადგენელიც, ვინმე უსეინ–ბეგიც კი გამოაგზავნა მასთან შეწყალების წიგნით, რომელიც ციხეში შეუგზავნეს კიდეც.

ნადირ–შაჰის წყალობის წიგნის გაცნობის შემდეგ, გივი ამილახორმა თეიმურაზს შემოუთვალა: „ ბატონი მობძანდეს, სიტყვა მაქვს, მოვახსენებ და გამოვალ იმის ბძანებითა-ო“.

მივიდა თეიმურაზი მცირე ამალით და ციხის მახლობლად დადგა. ციხიდან გივი ამილახორიც ჩამოვიდა თავისი ამალით და თეიმურაზს შეჰფიცა: „შენი ორგული არ ვიყოო“. თეიმურაზი ამილახორს დანებების შემთხვევაში დიდ წყალობას ჰპირდებოდა. მაშინ ამილახორმა მეფეს თხოვა: „თქვენი სარწმუნო ვარ, მაგრამ ხელმწიფისაგან ერთი ასეთი რაყამი მომიტანინეო, ჩემი გული შესჯერდებოდესო და ციხეს მაშინვე მოგართმევო“.

გივი ამილახორი ისევ ციხეში შებრუნდა შაჰისაგან წყალობის წიგნის მომლოდინე. თეიმურაზმა კი ნადირ–შაჰთან რევაზ ამილახორი გააგზავნა და ამილახორის თხოვნა აცნობა.

რევაზ ამილახორის მოსვლამდე სურამის ციხესთან ყოველგვარი საბრძოლო მოქმედებები შეწყდა და დაპირისპირებულ მხარეებს შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდა. „...სანამდის ეს ამილახორი რევაზი მოვიდა, ციხის კაცნი ჩვენს ჯარში მოდიოდის და ჩვენი ჯარის კაცნი ციხეში შევიდის, ერთმანეთში ვაჭრობდიან“.

ამასობაში რევაზ ამილახორიც მოვიდა ნადირ–შაჰიდან და მისი შეწყალების წიგნი მოიტანა: „შენი დანაშაული და სისხლი ჩვენის სიმაღლისა და განძლიერების მდომებლის მეფის თეიმურაზისათვის გვიპატივებიაო,“ – სწერდა შაჰი გივი ამილახორს.

შეუგზავნეს ეს შეწყალების წიგნი გივი ამილახორს ციხეში, მაგრამ მას შაჰის გულწრფელობაში მაინც ეპარებოდა ეჭვი და ციხის ჩაბარებაზე კვლავ თავს იკავებდა. მან ციხიდან ხალხი ჩამოაპარა და თეიმურაზის ბრძანებით ციხის ძირისათვის გაკეთებული ნაღმის გაუვნებლება დააწყებინა. თეიმურაზს რომ ეს ამბავი მოახსენეს, „ გაუსივა ... სამ უზბაში საბარათაშვილოს ჯარით, მიუხდნენ, ერთი მათი კაცი მოკლეს და სხვანი გაიქცნენ, შევიდნენ ისევ ციხეში, უკუდგნენ ციხოვანნი, დახშეს კარი ციხისა და შეიქმნა ისევ ბრძოლა“.

სურამის ციხისათვის დროებით შეწყვეტილი ბრძოლა კვლავ განახლდა და „იყო ყოველთვის ომი ფიცხელი,“– აღნიშნავს პაპუნა ორბელიანი.

ამასობაში დადგა 1745 წელიც.

სურამში მოვიდა ერეკლე მეფე. იმერეთიდან გადმოიყვანეს ზაალ აბაშიძის ქალი–ანა, რომელზეც ერეკლემ ქვიშხეთში ჯვარი დაიწერა. აქ, ქვიშხეთში ვახუშტი აბაშიძის სასახლეში გადაიხადეს ქორწილი და „ განისვენეს ორი დღე ლხინ–ნადიმობითა“.

ქორწილის შემდეგ მამა–შვილი – თეიმურაზი და ერეკლე „მობძანდნენ ისევ სურამს“ და კვლავ განაახლეს შეტევა ციხეზე: „იყო სროლა მუდმისად ყუნბარათა და ზარბაზანთა, რომ ყურთა ხმა აღარ იყვის“.

თეიმურაზ მეფე იძულებული გახდა, ნადირ–შაჰისათვის ეცნობებინა გივი ამილახორის მხრიდან პირობის დარღვევისა და სურამის ციხის ხელმეორედ გამაგრების ამბავი. ნადირშაჰმა თეიმურაზს დიდი თანხა გამოუგზავნა ციხის აღების საჭიროებისათვის, თან შემოუთვალა: „რაც გინდოდეს, ჩემი ხაზინა დახარჯეო, ყველა შენთან ეს იხტიბარი გვაქსო“. ამავე დროს ნადირმა თავისი კარის სამი მოხელე–ნასაღჩიბაში, ჩანდულბაში და რიქაბაში – გამოაგზავნა სურამში, თან უბრძანა: „ვითაც ჩემთვის, ეგრე თეიმურაზ ხანს ემორჩილენითო და იმის ბძანების მაყურებელნი იყავითო“.

ნადირ–შაჰის წარმოგზავნილები თეიმურაზს ეახლნენ სურამში და „ვითა ხელმწიფესთან ყოფილიყვნენ, ეგრე განკრძალურად ექცეოდნენ“ მას.

იმდენად დიდი იყო გაკვირვება და დაინტერესება ირანის მბრძანებლის მხრიდან სურამის ციხით, რომ მისი სურათი მოითხოვა. თვითონ გამოაგზავნა მხატვარი, რომელმაც სასწრაფოდ დახატა სურამის ციხის სურათი და გაუგზავნეს მას. „გამოეგზავნა ხელმწიფეს კიდევ ერთი კაცი და ეთხოვნა სურამის ციხის სურათი, მხატვარიც იქიდამ გამოეგზავნა. დახატეს მაშინვე და გაუგზავნეს“.

სურათის გასინჯვის შემდეგ ნადირმა თეიმურაზს დიდძალი ფული გამოუგზავნა და თან შემოუთვალა: „მაგ ციხეს იმრგვლით ასეთი გალავანი შემოავლევითო, რომ კაცს გარდასვლა არ შეეძლოსო და გარს ამ გალავანს ჯარი შემოუყენეთ და თქვენ ჩამოეცალენითო. ეგ სანამდის იყოსო. რომ თითონვე შემოიხვეწიოსო“.

თეიმურაზმა შეასრულა შაჰის ბრძანება, შემოავლეს ციხეს გალავანი და გარშემო მოალყეები დაუყენეს: „აღასრულეს ბრძანება და შემოავლეს მაშინვე გალავანი დიდი და შეუყენეს მცველი ფრიადი“.

გივი ამილახორი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ წინააღმდეგობას მაინც არ წყვეტდა.

ამ დროს არენაზე კვლავ გამოჩნდნენ ოსმალები. ახალციხის ახალმა ფაშამ დახმარების სურვილი გამოთქვა და გივი ამილახორს წერილი გამოუგზავნა „დიდის იმედისა და დაპირებოდა კიდეც მოხმარებასა“. ეს წერილი ქაიხოსრო ავალიშვილს ჩაუვარდა ხელში და თეიმურაზ მეფეს მიართვა. თეიმურაზის ბრძანებით ახალციხიდან ქართლისკენ, გუჯარეთისა და ხეობის მხრიდან მომავალი გზები შეკრეს და მეფემ თავად მიიტანა იერიში ახალციხის მხარეზე, რითაც ისაყი–ფაშას საშუალება არ მისცა, გივი ამილახორს დახმარებოდა.

ამავე დროს თეიმურაზმა სურამის ციხეზე შეტევებიც გაახშირა. ახლა უფრო ქმედითუნარიანი იყო თეიმურაზის მოქმედება. ჩანდა, რომ მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა ციხე აეღო. ამ მიზნით „მისცეს სურამის ციხეს ერთი ნაღმი და ვერა ავნო რა, მისცეს ნაღმი და ციხის ნახევარი სულ დაანგრია, ბევრიც ავნო მყოფთა ციხისათა“.

გივი ამილახორმა დაინახა, რომ წინააღმდეგობის გაწევას უკვე აზრი აღარ ჰქონდა და არც „მომშველებელი აღარ ჰყვანდა“ ვინმე. ახლა უკვე იძულებული გახდა, თავად დაეწყო მოლაპარაკება თეიმურაზთან. იგი მზდ იყო დანებებოდა მეფეს: „ბატონი დედოფალი მობძანდესო და ამას მივენდობიო“.

თეიმურაზის მეუღლე – დედოფალი თამარი მივიდა სურამში. ეახლა მას გივი ამილახორი და შეჰფიცა: „თქვენი მოღალატე აღარ ვიყოო“. თეიმურაზმაც თავის მხრივ მისცა პირობა, რომ „არაფერი არც წახდენით და არც სიკვდილით არ დაგიშავდეს რაო“. სურამის ციხესთან უკანასკნელ თვეებში განვითარებული პერიპეტიებისა და მოწინააღმდეგე ძალთა განლაგების შესახებ საინტერესოდ გადმოგვცემს იესე ბარათაშვილი: „ამ ზამთარს (1744 წლის დეკემბერი - 1745 წლის იანვარ-თებერვალი-თ.ლ.) მეფე თეიმურაზ გივს ამილახორს შემოადგა დიდის ჯარით, ცხრა ათასი ყიზილბაში და ავღანი ახლდა და საქართველოს ჯარი, ყაზახ-ბორჩალო სხვა იყო... ექვსს თვეს შემოადგა და ნაღმით ძალი უყვეს. სურამის ციხეში თვითვან იჯდა, ცოლიც იქ ჰყვანდა. ახალდაბის ციხეში დიმიტრი იდგა, კეხვს - სარიდან, წირქვალის ციხეს რევაზ იდგა ამილახორის შვილი, არაგვზე - ბეჟან ერისთავი, შემოფიცებული, და სიძე იყო და ის იდგა. ბეჟან ერისთავი უწინვე მოკლეს და არაგვი კახ ბატონობაში მეფემ თეიმურაზ დაიჭირა. ახალდაბის ციხე დიმიტრიმ მოსცა, კეხვის ციხე - სარიდან, არაგვის ერისთავის შვილმა, წირქვალის ციხე ამილახორის შვილმა რევაზ მოსცა. შემოადგნენ სურამს, მომშველებელი აღარ ჰყვანდა. ნაღმა ძალი უქმნა და სანატრელი თამარ დედოფალი დაიბარა, მობრძანდა და შემოირიგა, წამოიყვანა გივი ამილახორი...“.

გივი ამილახორმა თეიმურაზს ჩააბარა სურამის ციხე. დედოფალი თამარი თბილისში წაბრძანდა და თან გივი ამილახორიც იახლა.

თეიმურაზმა ირანის მბრძანებელთან ქაიხოსრო ორბელიანი გააგზავნა და „მოახსენა ამილახორის შერიგება და სურამის ციხის დაჭერის ამბავი“, თან „... ამილახორის დანაშაულის პატიება“ სთხოვა.

ნადირ–შაჰს ძალიან გაუხარდა სურამის ციხის დაჭერა და თეიმურაზს „დაპირდა ფრიადსა წყალობასა“, არც ქაიხოსრო ორბელიანი დაივიწყა კარგი ამბის მიტანისათვის და ხალათი, ხუთასი თუმანი თეთრი და ხმალი „უცხოდ მურასად გაკეთებული“ უბოძა. რაც შეეხება გივი ამილახორს, ნადირშაჰმა მისი საქმე გადასაწყვეტად თეიმურაზს მიანდო და შემოუთვალა: „ამილახორი თავისის საქონლით შენთვის გვიბოძებიაო და მაგისი სისხლიც შენთვის გვიპატივებიაო“.

არც თეიმურაზ მეფე ჩამორჩა ნადირ–შაჰს გულუხვობაში: „უბოძა... სარდალს ქაიხოსროს (ორბელიანს - თ.ლ.) ხალათი მძიმე, დაიდო ნადიმი, ნახა ლხინი უზომო“ და „გასცა საბოძვარი უშურველი“. გივი ამილახორს კი სახლთუხუცესობა უბოძა და თბილისში დატოვა.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მორიგი სხდომა გამართა

საბჭოს სხდომაზე საქართველოს მთავრობის მეთაურმა მოისმინა ინფორმაცია საქართველოში კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტების ჯანმრთელობისა და მსოფლიოში არსებული ზოგადი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ დღეის მდგომარეობით ინფიცირებულია 25 ადამიანი. უმეტესობა მათგანის ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო - 2-ს აღენიშნება შედარებით რთული სიმპტომები, თუმცა ყველა პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია და მათ შესაბამისი მკურნალობა უტარდებათ.

საკოორდინაციო საბჭოს მიეწოდა ინფორმაცია, რომ ამ ეტაპზე კარანტინში რჩება 126 ადამიანი, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება - 46 პირი.

დღეს საბჭოს წევრებმა ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში ახალი გადაწყვეტილებები მიიღეს:

1. საქართველოს მასშტაბით სასწავლო დაწესებულებებში გამოცხადებული არდადეგები ამ ეტაპზე 1-ელ აპრილამდე გახანგრძლივდა. ასევე, 1-ელ აპრილამდე შეწყვეტილი იქნება სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის მომსახურების მიწოდება დღის ცენტრებში. საჭირო ღონისძიებებს დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს. აღნიშნულ პერიოდში ანაზღაურების საკითხი კი შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის გათვალისწინებით გადაწყდება.

2. სავალდებულო სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა ერთი თვით, 13 აპრილამდე გადავადდა.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კოორდინირებული ნაბიჯების გადადგმის მიზნით სხდომებს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით სისტემატურ რეჟიმში განაგრძობს.

საბჭოს მუშაობაში აქტიურად არის ჩართული საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი.

დღევანდელ სხდომაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ხელისუფლება მართავს პროცესს.

უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მოქალაქეების მხრიდან მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენისა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მნიშვნელობას ვირუსის მასობრივი გავრცელების პრევენციის საქმეში.

ახალი ნაშრომის პრეზენტაცია - ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში, მუზეუმის ფონდების მცველმა-მზია ლობჟანიძემ ნაშრომი „ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებაში დაცული ნაქარგობის ნიმუშები“ წარადგინა.

პრეზენტაციის ავტორმა, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებაში დაცულ ნაქარგობებზე, მათ მნიშვნელობაზე და შექმნის განსაკუთრებულ მეთოდებზე ისაუბრა.

ნაშრომმა აუდიტორიის დიდი ინტერესი გამოიწვია.

პრეზენტაციის შემდეგ, დამსწრეებმა ხაშურის სამუზეუმო სივრცეში დაცული „ნაქარგობებიც“ დაათვალიერეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია დროებით, 20 მარტის ჩათვლით, ზღუდავს მოქალაქეთა მიღებას.

სხვადასხვა საკითხებით დაინტერესებულ მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ განცხადებები ჩვეულებრივ ჩააბარონ მოქალაქეთა მიღების ბიუროში - ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე (ხაშური, ტაბიძის ქ. 2) ყოველ სამუშაო დღეს 9-დან 18 საათამდე, დარეკონ ტელეფონზე: 24 21 35, ან დაგვიკავშირდნენ ელექტრონული ფოსტის საშუალ

ებით: info@khashuri.gov.ge

შეზღუდვების მიუხედავად, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია განაგრძობს საქმიანობას სამუშაო რეჟიმში.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საყურადღებოდ!

რისკის ჯგუფის ქვეყნებიდან (იტალია, ირანი...) ჩამოსულ პირებს, გთხოვთ დაიცვათ თვითიზოლაციის წესები 14 დღის განმავლობაში,

თუ თავს იგრძნობთ შეუძლოდ (ტემპერატურა, ხველა, სუნთქვის გაძნელება...),დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდის დღის ნებისმიერ დროს. GE ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯადაცვის ცენტრი.

ტელ: 599-93-57-30 დავით ჩიქოვანი; 577-73-93-92 ეპიდემიოლოგი -მარინა ბერიძე.

ზურაბ (ზურიკელა) გოგალაძის ხსოვნას

დაბადების დღეს გილოცავთ, ზურა. მდუმარებით შევხვდით 14 მარტს, ძალიან ძნელია უშენოდ ამ დღის აღნიშვნა, ჩვენთვის ყველასათვის საყვარელო ადამიანო, უღალატო მეგობარო, ერთგულო მეუღლე მზრუნველო მამა, დაჩაგრულ და უპოვარ ადამიანთა იმედის მომცემო და დამხმარე, სიყვარულის მქადაგებელო და დაუღალავო მშრომელო.

ბევრს ვლოცულობთ შენი ლამაზი სულისთვის და ნუგეშს ვაძლევთ თქვენს ოჯახს,ღმერთს ვთხოვთ დაათმენინოთ ეს დიდი ტკივილი და გაძლიერდნენ შენი ოჯახის გასაძლიერებლად.

ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა

შოთა ოგანესიანის ოჯახი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.